

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს „დანი“-ს (ს/კ 406338789),
იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, სამგორის რაიონი,
ლილოს დასახლება, კოტეჯი №2

ელ.ფოსტა. rusudan.natobaidze@gmail.com
მობ: 599 07 61 25

სკრინინგის ანგარიში

გაცნობებით, რომ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დანი“ (ს/კ 406338789), მდებარეობს ქ. თბილისში, სადგური ლილოს (მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი 01.19.14.004.295) ტერიტორიაზე და გეგმავს პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების (ნარჩენების აღდგენის) გადამამუშავებელისაწარმოსმოწყობასუკვე არსებულ შენობაში.

GPS კოორდინატებით განსაზღვრული ტერიტორია (X=499660; Y=4614693) თავისი შენობა-ნაგებობებით წარმოადგენს შპს „ლორდი“-ს (ს/ნ 206250028) საკუთრებას.

1.03 ჰა ფართობზე განთავსებული შენობა-ნაგებობიდან, შპს „დანი“-ს იჯარით აქვს აღებული 420 მ², სადაც კომპანია გეგმავს პოლიეთილენის და პოლიპროპილენის გრანულების მისაღებად საჭირო დანადგარების დამონტაჟება-განთავსებას.

უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 700 მეტრი მანძილით.

აღნიშნულ საწარმოში დაიგეგმა მეორადი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენების (კოდებით 07 02 13; 15 01 02; 16 01 19; 17 02 03; 20 01 39) გადამამუშავება, რომელიც ძირითადად შემოტანილი იქნება საქართველოში არსებული სხვადასხვა წარმოებებიდან, რომლებსაც წარმოექმნებათ აღნიშნულისა ხის ნარჩენები (აღდგენის კოდი R3).

საწარმოში შემოტანილი ნარჩენები იქნება გასუფთავებული (გარეცხილი) და შესაბამისად საწარმოს ტექნოლოგიური სქემის მიხედვით არ მოხდება ნედლეულის რეცხვა და ამ მიზნისთვის წყლის გამოყენება.

პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ტერიტორია შემოღობილია და წარმოადგენს დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით დახრილ

ფერდობს, რომელიც ყველა მხრიდან შემოფარგლულია საქმიანი ეზოებით. საწარმოს განლაგების ტერიტორიაზე და მის ირგვლივ რადიუსში ხე-მცენარეები წარმოდგენილი არ არის.

საწარმოში იგეგმება პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების გადამუშავებით პოლიეთილენის და პოლიპროპილენის გრანულების მიღება, რომლის წლიური წარმადობა იქნება 200 ტონა. შემდგომ, კომპანიის მიერ მოხდება მიღებული გრანულების, როგორც ნედლეულის სხვადასხვა სახის პლასტიკური ნაწარმის წარმოებისათვის რეალიზაცია სხვადასხვა საწარმოებზე.

გრანულების გამოშვებისათვის საწარმოში განთავსდება 1 (ერთი) ცალი აგლომერატორ-გრანულატორი და 1 (ერთი) ცალი გრანულატორი, თითოეულის წარმადობაა 100 კგ/სთ-ში.

საწარმო წლიურად პოლიეთილენის და პოლიპროპილენის გრანულების დამზადებისათვის გამოიყენებს ნედლეულის სახით წელიწადში 200 ტ/წელიწადში პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ნარჩენებს.

ნარჩენების გადამუშავების ტექნოლოგიური ციკლი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- საწარმოში შემოსული ნედლეულის (ნარჩენების) დახარისხება;
- დახარისხებული ნედლეულის დაქუცმაცება;
- დაქუცმაცებული ნედლეულის კონვეირზე გადატანა;
- გრანულაციის პროცესი;
- მიღებული გრანულების ტომრებში განთავსება.

საწარმოში შემოსული ნარჩენები (ნედლეული) ინახება ნარჩენების საწყობში, სადაც გადის დახარისხების ეტაპს, რაც მოიცავს საწარმოს თანამშრომლების მიერ პოლიეთილენის და პოლიპროპილენის დიდი ზომის პარკების მექანიკურად, სპეციალური დანის მეშვეობით შედარებით მცირე ზომის ფრაქციებად დაჭრა-დაქუცმაცებას. საწარმოში მოეწყობა დამაქუცმაცებელ-დახარისხების ორი უბანი.

შემდგომ დაქუცმაცებული-დახარისხებული პოლიეთილენი იყრება კონვეირზე, საიდანაც პოლიეთილენის ფრაქცია მიეწოდება აგლომერატორ-გრანულატორს, სადაც ის ელექტროენერჯის ხარჯზე ხურდება 160 – 200 გრადუსამდე, მიიღება ერთგვაროვანი ბლანტი მასა. შემდეგ ხდება გამდნარი ნედლეულის ცივიწყლის აუზის სისტემაში გაცივება, რომელიც მუშაობს როგორც ღია სისტემა დაგამოიყენება ნედლეულის გასაგრილებლად. ნედლეული, რომელსაც ცივი წყალი გადის გამდნარ მდგომარეობაში იყოფა მცირე ზომის ნაჭრებად და საჭრელ დანადგარში გადაიქცევა გრანულად.

ნარჩენების გადამუშავების შედეგად გამოშვებული პროდუქცია (გრანულების სახით) იყრება 25 კგ ტომრებში და მზადდება გადაზიდვა-რეალიზაციისთვის.

საწარმო დღეში იმუშავენ 12 საათს, აქედან 1,5-2 საათი ჭირდება დანადგარებისგახურებას, ანუ დღეში გრანულატორი იმუშავენ 10 საათს.

წლის განმავლობაში საწარმო იმუშავენ არანაკლებ 300 დღე და საწარმოში დასაქმებული იქნება არანაკლები 12 ადამიანი.

წყალი საწარმოში გამოიყენება სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის და საწარმოო მიზნებისათვის. წყლით მომარაგება ხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან (ქ. თბილისის წყალმომარაგების სისტემა), ხოლო შიდა საკანალიზაციო ქსელი ასევე მიერთებულია ქ. თბილისის საკანალიზაციო ქსელზე.

საწარმოო მიზნებისათვის წყალი გამოიყენება მხოლოდ გრანულატორში გაციების სისტემაში, რომელიც ბრუნვით სისტემაშია და ბრუნვით ციკლში მისი რაოდენობა ტოლია 2 მ³-ის.

აღნიშნულ წყლის ბრუნვით სისტემაში ხდება დღიურად 0.05 მ³ წყლის დამატება, რომელიც იკარგება ორთქლის სახით, ანუ წელიწადში დამატების სახით ესაჭიროება 15 მ³ წყალი, ანუ მთლიანი ხარჯი აღნიშნულ სისტემაში წყლისა იქნება 17 მ³-ის.

წყლის ხარჯი ასევე წარმოიქმნება ხანძრის შემთხვევაში და მისი მაქსიმალური რაოდენობა შეადგენს 20 მ³-ს. აღნიშნული წყლის მომარაგება ხანძრის შემთხვევაში მოხდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან.

საწარმოში წყალი ასევე გამოყენებული იქნება სამეურნეო-საყოფაცხოვრებო მიზნებისათვის. იქიდან გამომდინარე რომ საწარმოში დასაქმებული იქნება 12 ადამიანი, მისი წლიური ხარჯი არ აღემატება 162 მ³-ს. აღნიშნული წყლები ჩაშვებული იქნება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

რადგან საწარმო მთლიანად განთავსებულია კაპიტალურ შენობაში, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი საწარმოო პროცესში რაიმე მავნე ნივთიერებებით არ არსებობს. აღნიშნული წყლები მოხვდებიან სანიაღვრე კანალიზაციაში. ასევე, გაგრილების სისტემიდან ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება.

საამქრო საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით აღიჭურვება ცეცხლმაქრებით, განთავსდება სახანძრო ინვენტარი და სხვა დღევანდელი კანონმდებლობით მოთხოვნილი სავალდებულო საშუალებები.

საწარმოში წარმოქმნილი ნარჩენების განთავსებისათვის დაიდგმება მარკირებული ნაგვის ურნები სხვადასხვა ნარჩენებისთვის ინდივიდუალურად. საყოფაცხოვრებო ნარჩენები განთავსდება შესაბამის ურნებში, რომელთა რაოდენობა წელიწადში არ აღემატება 14.6 მ³-ს, მათი გატანა განხორციელდება ქ. თბილისის შესაბამისი სამსახურის მიერ.

ხოლო რაც შეეხება სხვა სახის ნარჩენებს, როგორც სახიფათო (ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა), ასევე არასახიფათო ნარჩენებს, ისინი კანონმდებლობის სრული დაცვით განთავსდება შესაბამის ურნებში, დროებით დასაწყობდება და შემდგომში მართვისათვის გადაეცემა შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე ორგანიზაციებს.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება საწარმოს უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. საწარმოს მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს: პოლიმერული მტვერი, ძმარმჟავა და ნახშირჟანგი.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია საწარმოში წარმოქმნილი მავნე ნივთიერებების კოდი, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების მნიშვნელობები და საშიშროების კლასი.

ცხრილი 2.

მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები

მავნე დასახელება	ნივთიერების კოდი	ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ ³		საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
1	2	3	4	5
პოლიმერული მტვერი	988	0.1	-	3
ძმარმჟავა	1555	0.2	0.06	3
ნახშირჟანგი	337	.50	3.0	4

საწარმოში შემოტანილი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გადამუშავების შედეგად იცვლება მხოლოდ მათი დაქუცმაცებისას გაფრქვევის ინტენსივობები, ხოლო აგლომერატ-გრანულატორიდან და გრანულატორიდან გაფრქვევის წამური ინტენსივობები არ იცვლება, შეიცვლება მხოლოდ მათი წლიურად გაფრქვევის რაოდენობები.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან საწარმოო პროცესში არ იგეგმება მაღალი ხმაურის წარმომქნელი დანადგარების მონტაჟი. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული დანადგარები განთავსებულია დახურულ შენობაში, აქედან გამომდინარე ხმაურის დონე უმნიშვნელო იქნება როგორც შენობის გარე პერიმეტრზე და უახლოეს დასახლებულ პუნქტზე.

საწარმოო ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს ფიქსირდება ქ. თბილისისათვის დამახასიათებელი მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში

შეტანილი სახეობები ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა ისეთი სახეობები, რომლების საჭიროებენ სპეციალურ დაცვას.

საწარმოო პროცესები მიმდინარეობს დახურულ შენობაში, რომლის იატაკი მობეტონებულია. აქედან გამომდინარე ბუნებრივია როგორც ნიადაგის ასევე გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები პრაქტიკულად არ არსებობს.

როგორც უკვე აღინიშნა, საწარმო უნდა მოეწყოს არსებულ შენობაში, აქედან გამომდინარე რაიმე სახის მიწის სამუშაოების ჩატარება არ იგეგმება და ბუნებრივია ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, მით უმეტეს მათი დაზიანება პრაქტიკულად არ იქნება.

საწარმოში ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა (12 ადამიანი), რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს შემოთავაზებულ ადგილზე არ არის მიწისზედა ძეგლები (ისტორიული მნიშვნელობის აქტივები ან ნაგებობები). ასევე საწარმოს ფუნქციონირების დაწყებისათვის არ იწარმოება არავითარი მშენებლობა, რადგან ის მთლიანად განთავსებული იქნება უკვე არსებულ შენობაში.

საწარმოს ფუნქციონირებისას ბუნებრივი რესურსების სახით გამოყენებულია მხოლოდ წყალი, სხვა სახის ბუნებრივი რესურსები არ იქნება გამოყენებული.

საქმიანობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის შემოგარენში ასევე მის სიახლოვეს არ არის ჭარბტენიანი ტერიტორიები, ამდენად მასზე ზეგავლენა არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის სპეციკის, მასშტაბის და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, რაიმე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს მომიჯნავედ განთავსებულია შპს „ლორიდი“-ს კუთვნილი პოლიმერის აფსკების (ფირების) მიღების საწარმო, სადაც მიმდინარეობს გრანულებიდან პოლიმერის ფირების და ნაკეთობების მიღება.


საწარმოს ოპერირებისას ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს დანადგარების მწყობრიდან გამოსვლა, რომლის დროს აუცილებელია მათი გაჩერება და დაზიანების აღმოფხვრა. ასევე, ავარიის სახით მოსალოდნელია ცეცხლის გაჩენა, რომლისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი სახანძრო დაფები ცეცხლმაქრებით სახანძრო უსაფრთხოებში მიზნით.

საწარმოო დანადგარებზე მომუშავე პერსონალისათვის დაცული იქნება მათი უსაფრთხოებისათვის ყველა ზომა, ასევე მათ ჩაუტარდება შესაბამისი ინსტრუქციები მათი უსაფრთხოების დაცვისათვის. საწარმოო შენობაში განთავსებული იქნება მედიკამენტებისა და სამედიცინო აღჭურვილობის ყუთები რაიმე სახის დაზიანების შემთხვევაში მათი გამოყენების მიზნით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დანი“-ს მიერ დაგეგმილი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენისნარჩენებისგადამამუშავებით (ნარჩენებისაღდგენის) გრანულების წარმოებასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

საწარმოო კორპუსის გენ-გეგმა. მასშტაბი 1:500

- 1 - ნარჩენების მიმღები უბანი; 2 - სასწორი; 3- გადარჩევის უბანი I; 4 - გადარჩევის უბანი II; 5 - აგლომერატ-გრანულატორი 100 კვ/სთ (I); 6 - გრანულატორი 100 კვ/სთ (II); 7- გამაგრილებელი სისტემა.



ნახ.1 შპს „დანი“-ს პოლიეთილენის და პოლიპროპილენის ნარჩენების გადასამუშავებელი საწარმო. მას. 1:25000.



დანართი 3. საწარმოს განლაგების სიტუაციური რუკა.





საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული
სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.19.14.004.295**
განცხადების ნომერი: **882020502814**
მომზადების თარიღი: **10/08/2020**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო საშენი**
ფართობი: **4987 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

